სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №41

ქ.ბათუმი 18 ივნისი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის I პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ, სსიპ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი ჩავლეიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „CEBEP" მისი წარმომადგელნის ქ. ბათუმში ჯემალ გოგიტიძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს (კლ. კოდი CPV-98300000,- სხვადასხვა მომსახურებები) ქ. ბათუმის საკრებულოს ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივებისა და მცირეფასიანი აქტივების ნაგავსაყრელზე გატანა და განადგურება (შემდგომში – მომსახურება).

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება გაუწიოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში და ვადებში;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. მომსახურების მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3.2. შემსყიდველი მიმწოდებლისათვის მომსახურების ღირებულების ანგარიშს-წორებას ახორციელებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, გადარიცხვის ფორმით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადების (ინვოისი) წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

3.3. ანგარისწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4. მომსახურების ვადა

მომსახურება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, შესრულების ვადების დაგვიანებისა ან/და არაჯეროვანი შესრულები-სათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელოშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდე-ბულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხ-ლოს სახით აუნაზრაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ი.

73. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრუ-ლების მთლიანი ღირებულების 2%-ს, მაშინ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე წყდება.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ;

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლა მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. 7.3. პუნქტში მიტითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

9. ხელშეკრულების იხსპექტირების პირობები

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაცია გამოყოფს კოორდინატორს, რომლის ფუნქციები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10. მომსახურების მიღება-ჩაბარება

მომსახურების მიღება-ჩაბარება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით, რომელსაც ადასტურებს ხელშეკრულების ორივე მხარე. შემსტიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია შემსყიდველის მიერ დანიშნული საინვენტარიზაციო კომისიის წევრები.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნისნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან (თუ იგი გამოწვეული იყო მესამე პირის ბრალეული მოქმედებით. უბედურება, ხანძარი, ომი, მთავრობის დადგენილება ან მიმწოდებელთან შექმნილი ავარიული სიტუაცია და სხვა).

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს თავისი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნაკისრი ვალდებულობების სრულად შესრულებამდე მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

15. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად, რომლის თითო ეგზემპლიარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

16.2. მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 10 დღის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"
სსიპ. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის
საკრებულო
ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25
ს.კ 245576005
ს ს „ლიბერთი ბანკი"-ს
ბ. კ. LBRTGE22;
ანგ. № GE51LB0120134812705002
(ლარი)
ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი ჩავლეიშვილი

(ხელმოწერა)

„მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი"
შპს შპს „CEBEP"
ქ. თბილისი ი.გრიშაშვილის ქ, №26
ს.კ.404396113
კორ–სტანდარტ ბანკი
ბ.კ. AGREGE22
ან.№GE10KS0000000004233426
CEBEP
წარმომადგენელი
ჯემალ გოგიტიძე

(ხელმოწერა)